

Handwritten mark or signature at the top right corner.

1912 წელი

ოცმრისცეზრი აღმანახი

სეზნი

[Linnæus N. 1. 2.]

მ. რეზნიკოვი

Handwritten notes within a red-lined box:  
სეზნი  
ნბ. N 2, 23. 4. 10. 8.  
[Linnæus] [Linnæus]

Handwritten signature or mark at the bottom right of the red-lined box.



1912 წლის

საბუნების აღმანახი



# ზუზუნა



აღმანახი გამოვა დრო-გამოშვებით სხვა-და-სხვა სათაურით. დასაბეჭდი მასალები გამოიგზავნება შრომის სტამბაში, აღმანახისათვის.



5770

487

### ქრისტე აღსდგა!

თქვენ ვინ გგონივართ!? კინტო ვარ!  
ვქეიფობ ზურნა დაფითა,  
აღდგომა არის, ფურნეში,  
ინდოური შაქვს ტაფითა!..

დაუკარ, ჩემო მეზურნე,  
ნუ გეშინიან ფულისა,  
მეფაიტონე გარეკე—  
კირიმე შენი სულისა!

ჩემის ნაშრომით ვქეიფობ,  
არ დამეღება ვალეზი,  
მტერს დაუბრმავებ თვალეზსა,  
შოყვარეს—ვენაცვალეზი!..

ამხანაგებო, გილოცავთ,  
რომ „ქრისტე აღსდგა!“ ღღესათ!  
იმის სულს ვენაცვალევი,  
ეს ღღე ვინც დააწესათ!..

შმაგა



# ა რ ა მ ჯ ე რ ა !

„ქრისტე აღსდგა!“ — ისმის ყველგან,  
 მაგრამ მე ეს არა მჯერა,  
 არც ვიწამებ ამ სიტყვასა  
 თუ გინდ მითხრან ათასჯერა.  
 ვინ გაბედავს წამოდგომას —  
 ოდეს სოფლად სუფევს ბნელი,  
 როს ფეხზე მდგომს არ აჩერებს  
 ქარიშხალი — უღმობელი!..

„ქრისტე აღსდგა!“ — ისმის კვლად!  
 არა, ქრისტეს ისევ სძინავს,  
 მან გაუძლო მრავალ ტანჯვას  
 მისი სული კვლად ბრწყინავს!  
 და როდესაც გათენდება —  
 ზე-აღსდგება სწრაფად, ცქვიტად —  
 მაშინ ვიტყვი: „აღსდგა ქრისტე!  
 ქეშმარიტად, ქეშმარიტად!“.

ბელზებელი.

# მ ა გ დ ა ლ ი ნ ე ლ ი

(საადგომო სიტყვა)

I

ვაი თქვენ მწიგნობარნო ფარისეველნო! ასის  
 თავნო! ეშმაკის მონანო! ბოროტებითა აღვსილნო!  
 მტანჯველ-მწვალებელნო! ის გააკარით ჯვარზედ,  
 შუბლი ღვთაებრივი ეკლის გვირგვინით დაუშვე-  
 ნეთ, შოლტითა გვემეთ აწამეთ! მისმა სისხლის წვე-  
 თებმა მორწყეს გოლგოთის არე!.. იძახოდა მიმავ-  
 ლი მაგდალინელი და თან ფეხს უჩქარებდა... ამ  
 დროს იქვე დილის მგოსანი — ბუღბუღი, ნეტარების  
 ცრემლსა ღვრიდა, სიყვარულის ჰანგს სწწავდა,  
 წყარო ჩუხჩუხებდა... დილის ცისკარმან ამოაშუქა  
 და გააღვიძა მძინარე იერუსალიმი, გამოჩნდა გა-  
 ნათებული... აგერ სოლომონის ტაძარი, უზარ-მა-  
 ზარი სვეტებით, აგერ იროდის სასახლე როგორა  
 ბრწყინავს მოაქროვილი, აგერ კაიაფას სასახლე,  
 სადაც მას ფუფუნება ჰქონდა წუხელი, სადაც  
 მიიწვია მწიგნობარ-ფარისეველნი და ათასი სხვანი  
 „მოვიშორეთო!“ ყოველის მხრით იძახდნენ. კაიაფა  
 მხიარულობდა, ტუჩზედ ღიმი უქროდა, „ღმერთი  
 ვარო თვით იელოვას შვილიო“, მაგრამ გვაკარით  
 ჯვარზედ და მოკვდა ისე, ვითა კვდება ყოველი  
 ცოდვილი ადამიანი!!! მაგრამ მან არ იცოდა! არ  
 იყო გამოღვიძებული, წუხანდელი ღმერთი აგონდე-  
 ბოდა, ტახტზედ ჰბორავდა!..

II

მაგდალინელი ეშურებოდა იესოს საფლავთან,  
 რომ შეესხურებინა ნელსაცხებელით მისი უხრწნე-  
 ლი გვამი. მიჰქონდა ყვავილნი გაზაფხულისანი და  
 ცხარე ცრემლებს აფრქვევდა „რაბინო! გტანჯეს, გა-  
 წვალეს, შენი მოწაფენი ურცხვათ გაიქცნენ!.. მე კი  
 იქ ვიყავი და შენს ტანჯვას შევეყურებდი! მახსოვს,  
 როდესაც შენ მოითხოვე წყალი, და წყეულმა და-  
 რაჯმა კი წყლის ნაცკლად ნალველ-ნარვეი ძმარ-  
 სასმელი მოგიტანა! ოჰ გული მიკვდებოდა, აქეთ-  
 იქით ვეცი, წყლის გულისათვის, ვერ ვიშოვე — აბა  
 გოლგოთაზე, იმ სისხლით მორწყულ ხრიოკ-ადგილ-  
 ზედ წყალი სად იყო?!

ქვევით ჩავედი, გოლგოთის ძირსა, ამოვიტანე  
 სიჩქარით, იმოდენა აღმართი არაფრად მივიმჩნიე,  
 მაგრამ აღარ იყავი! .

რაბინო! უკანასკნელ წამშიაც არ გიღალატე!  
 მახსოვს შენი მცნებანი, შენ გამომიყვანე მე საუ-  
 კუნო ტანჯვისაგან, შენ მართო შენ უფალო! მე  
 მაგდალინელი!..

აგერ, გეთსამანიის ბაღი, აგერ იესოს საფლავ-  
 ვიც, და გაეშურა, — მაგრამ ჰოი საკვირველებაც!..  
 გვამი იქ არ იყო, მხოლოდ სუღარანი იქვე ელა-  
 გა! — ვინ წაიღო იგი? ვინა?.. ფიქრობდა მაგდა-  
 ლინელი... და თან თავი ჩაეკიდნა.

— მარამ!..

— რაბბუნი!

შესძახა მარიაშა და მუხლ-მოდრეკილი დაეცა  
 მოძღვრის წინაშე!..

— „ქრისტე აღსდგა!..“ აღსდგე შენც!

გ. ლ — ძე.

# ს ი მ ლ ე რ ა

ზღვა დამდგარიყო ცრემლისა,  
 შიგა ჰყვოდნენ იანი.  
 არ გამაგონა ნეტავი,  
 ტურფავ, მე შენი ზიანი!  
 შენკენ იტაცებს თვალ-გულსა,  
 ლალი ოცნება, ფრთიანი,  
 როცა ვერ გხედავ თვალითა,  
 დღე მიღამდება მზიანი!  
 მზეთ უნახავის ნახვაცა  
 უშენოდ, ჩაღა-ბზე არი,  
 დღე მიბნელებდა უშენოდ,  
 შენგნით კი ღამეც დღე არი!  
 მე კი მიყვარდე, შენ არა,  
 ეგ სადაური ზნე არი?!

ვაჟა-ფშაველა.

# ძმური რჩევა

(ნაწევრები)

კარგია, თუ რომ შენს საქმეს,  
იმგვარად დაიჭირავდე,  
რომ ლუკმა პურის გულისთვის  
აღას არ დაუჭირავდე,  
შენს მიწას ხნავდე, შენს ნამგალს  
შენი ყანისთვის ჰპირავდე  
და მადლსაც ლუკმა პურისთვის,  
მხოლოდ შემოქმედს სწირავდე!

—  
თუ დაფიქრდები ცრტა ხანს,  
მიპხვდები ჩემო ძამია,  
რომ მაგ უაზრო გზა-კვალზე,  
გადასაჩეხი ხრამია,  
რომ ეგ ცხოვრება დუხჭირი,  
მოსასპობელი შხამია  
ეგ ჯანი, — ძვირი საუნჯე  
სხვა ვინმეთ შეუქამია!..

ნოწრევანიძე.

# ს ი ზ მ ა რ ი

სიზმრათა ვნახე წალკოტი  
ვარდ ყვავილებით შემკული,  
მინდორი, ტყე და ნახნავი  
ათას ფრად ამწვანებული.  
ჩიტების ჭიკჭიკ-გალობა  
ისმოდა როგორც ზარია,  
და ყურს უგდებდა იმათ ხმას  
ტყე-ველი მთა და ბარია.

ენახე: ფრინველთ მსტვენავ კრებას  
მოსწყდა ფრენით ერთი ჩიტი,  
მოქიკქიკე, მგალობელი,  
მალხაზი და მეტად ცქვიტი.  
საოცნებო ჭიკჭიკ-სტვენით  
მეც სალამი გადმომძახა  
და მიამზო სიცოცხლეში  
გასაჭირი რაც ენახა.

მითხრა: ერთხელ ადრე დილით  
ვარდზე ვიჯექ და ვგალობდი,  
ჩემი სტვენით და ჭიკჭიკით  
არე მარეს შევამკობდი.  
შევხაროდი დედა-მიწას  
შევხაროდი მალლა ცასა  
შევხაროდი ბადრსა მთვარეს,  
ცის სივრცეში ვარსკვლავთ სვლასა.  
სიყვარულის ტკბილი ჰიმნით  
ვახარებდი არე მარეს.  
სვე ბედთან აზრს ვუძებელი,  
ნუგეშს ვცემდი გულ მწუხარეს...

მაგრამ ბოროტ კაცის ხელო  
ჩამიწყვიტა ტკბილი ენა,  
დამიჭირეს, დამამწყვდიეს,  
დამაფიწყეს ამოსტვენა.

განვლო დრომ და ჩემს საკანში  
შემოიჭრა დილის ქარი  
და ჩემს ციხეს, ჩემ გალიას,  
შეუმტვრია რკინის კარი.

მეც იმ წამსვე გამოვფრინდი,  
ჩემს ძველ წალკოტს მოვაშურე,  
ვარდის ფოთლებს მივესალმე,  
დილის ნაპი ვარდს ვაპკურე  
ისევ ვგალობ, ისევ ვაქებ  
დილის ნიავს, ცხოველ მზესა,  
სიყვარულის ცოცხალ ჰიმნებს  
მოვაგონებ სამოთხესა...

გამომეღვიძა—იგივე  
ლამე სიცოცხლის გამხრწნელი,  
წალკოტი დაობლებული,  
დუხჭირ-ცხოვრება შავ-ბნელი.

ლალა გელევანიშვილი.

# აქა-იქ

(საადღეობო მილოცვები)

ქალაქის გამგეობას,  
წამოედო ვალები,  
თუ რით გადაიხადოს,  
გააქყიტა თვალები.  
იფიქრ-გამოიფიქრა,  
მოიხმარა ძალები  
და ტრამვაი „დაშტრაფა“,  
„ვირს აჰყარა ნალები!“  
„სას. გავეთს“.

ეს „სახალხო გაზეთი“,  
წინ წავიდა ძალიან,  
მხოლოდ განცხადებისთვის  
სკალიან და სკალიან!  
„თემს“.

ეგ შენი სიყვარული,  
სამზღვარს გასცილებია,  
მხოლოდ შენის წაკითხვით  
თემსა დასძინებია!

„თბილ. ფურც.“  
მახსოვს, პატარა იყავ  
აზრიანი, მახვილი,  
ახლა როცა დაბერდი,  
ბოლავ ვითა ყმაწვილი  
„ნაკადულს“

მგონია, რომ ბევრი გყავს  
მკითხველ-პატივმცემელი,  
რა გიშავს, მინამ გწყალობს,  
„დიდი“ გამომცემელი.

„ჭეჭილს“

კარგი დედის შვილი ხარ,  
სათუთად გამოზდილი,  
რა გიშავდა, მკითხველი,  
რომ არ გყავდეს გულ გრილი.

სარაჯიშვილის მემკვიდრეთ  
სრულებით არა სცხვენიათ,  
მათ მკვდრისა კიცხვა-გინება,  
პატიოსნება ჰკონიათ!  
ეს ამოდენა სიმდიდრე,  
ნეტა როდისა ჰქონიათ,  
მუშის და ხალხის საქმე ვერ  
აუწონ-დაუწონიათ!..

მეზურნე

## სააღდგომო ნაინა.

(ე — კა-სეზურა)

ქრისტე აღსდგა! გენაცვალე  
ჩემო პატარაო,  
დაიძინე ტანჯვის შვილო,  
რამ გაგამწარაო!  
ნუ გეშინის გადავიდა  
ქექა ქუხილიო,  
ცოტა ჩვენცა დაგვიამდა  
გულის წუხილიო!  
აგერ მამაც დაგიბრუნდა  
ციმბირიდანაო,  
არ შეშინდე, ჩვენც გვექნება  
ბაღა და ყანაო.  
კვლავ მოვეფოხავთ დამწვარ სახლკარს  
მივყავით ჭელიო,  
ცოტა ზურგიც მოგვიშუშდა  
და საფეთქელიო.  
დღე და ღამე აღარ გვიძინავს,  
ვშრომობთ, ოფლსა ვღრითო,  
ძველ ჯარიმებს, ნედლომკებს  
ძლივსდა გადავრჩითო,  
ქათმებიცა მოვაშენეთ  
კვერცხი დავვიდვაო,  
წიწიაც გვაქს მოხარშული  
და ცოც-ცოტა სხვაო.  
ვერც წავგართმევს ცოფიანი  
სტრაჟა დიმიტრაო  
უუფლებოთ დახეტელობს  
თლათ მოიხარაო.  
ნიკოკიამც რაც იყეფოს,  
არვინ უყურებსო  
და ერმოლოვ-მიქიევი,  
ჯაქვს არაჩხუნებსო.

გულზედ ქვა რომ დავიკიდოთ  
შკოლებს ავიგებთო,  
თქვენ იქინე შეისწავლით,  
ჩვენ აქ შევიგნებთო.  
არ ვიქნებით სხვისდა ბარგათ,  
სხვისდა სარჩენათო,  
ჩვენი საქმეც არ იქნება  
ცრემლებ სადენათო.  
ხვეწნით არც რას კაცი მოგვეცემს  
და არც უფალიო,  
მარჯვენაა ჩვენი შემწე,  
ქირისუფალიო...  
ქრისტე აღსდგა! გენაცვალე,  
გააღე თვალიო!..

შხანკოლო.

## სააღდგომო ღიღინი


(მესტიერულის მაკიერ)

„ქრისტე აღსდგა!“ მკითხველო!  
მინდა—სტვირის პიტინი,  
(კარდაკარ ჩამორება  
და ფანჯრებში პიტინი!)  
პოეტობა დავიწყო,  
(მეც მაქვს ტვინის ლიტინი),  
მაგრამ ზოგიერთსავეთ  
კი არ ვტირი, ვიცინი.

კლუბში შევად, პირველად  
ვნახე ახალ „სტარშინებს“  
და აგრე მიუღმეგრებ:  
(ან კი რა შემაშინებს!)  
— „ნეტა როდის მოაწყობთ,  
თქვენს საზამთრო ზალასა?!  
(ცალიერი ფხაკურით  
ნუ წაიღებთ ძალასა!)  
ცოცხი ხელში დაიჭით,  
გამოხვეტეთ ნაგვები,  
თორემ გაგიმრავლდებათ  
შინაური თავგები“.

იქვე ვნახე არტისტებს  
(თუ არის წარმოდგენა),  
თორემ, ისე, იგინმა  
სხვაგან იციან ლხენა!..  
თუ ვნახე თითს დაუქნევ—  
„აქეთ მობრძანდით თქვენა“  
და მე მკითხე თუ როგორ  
ავემოძრაო ენა:  
— სიმპატიის პადვალში,  
რომ ზეპირობთ როლებსა,  
ღვინოში ეჯიბრებით,  
მეგობრებს და ტოლებსა!

# უხარხარული მდგომარეობა კლუბის პარკეტთან.



მაგითი კაქკაქებო,  
 შორს ვერ გადაფრინდებით,  
 (დაიცადეთ, ჯერ კოტა,  
 უფრო გამოტყვენდებით!)

თამაში თუ მომინდა,  
 ავალ ზევით, კიბეზე,  
 (ქართველი რას მოითმენს  
 თუ ფული აქვს ჯიბეზე!)

კნიაზებს მიუჯდები  
 (ძლიერ უყვართ ბაქარა),  
 მაგრამ ვის ვეთამაშო!  
 არც ფული აქვთ, არც ფარა!..  
 თუ რომ იმათ მოუგებ,  
 გეტყვის: ჩემზედ იყოსო,  
 (მხოლოდ ჩუმად, თუ ძმა ხარ,  
 არავინ შემიტყოსო).

1 კაცი: — ნუ გეშინიან ბარიშნავ!  
 ჩემთან წამოდი!  
 1 ქალი: — ვაი თუ შენც ანაირი  
 იყო!..  
 2 კაცი: ეხლა აღარ მოგწონვარ,  
 როცა კლუბში გამაკოტრე!

3 კაცი: — რა გინდათ ჩემვან?  
 ქალები: — კლუბში შევიდეთ, ვი-  
 თამაშოთ ლოტო!  
 3 კაცი: — ქრისტიანებო, სულ წა-  
 ვაგე სული!..

კმაწული: — გაჩუმდი შეტქი ვერა  
 ხელდე, რომ გადაცემული ვარ?..  
 ქალი: — ვინც გინდა იყო, ჩემთვის  
 ჩაქარა «მბნსპაცია»!..  
 ასკილი.

თუ რომ შენ მოგიგებენ,  
აღგომასაც არ გაცლის,  
რომ არ მისცე მაშინვე,  
მუშტივ სიქას გავაცლის!

ქვემოდ ვნახავ ბარიშნებს,  
(„შანტკლერში“ მორთულებს),  
რუსულსა და ქართულს რომ  
ერთად აჩიქორთულებს!  
და აგრეთვე, მსხვილ-მსხვილსა  
(კენიებს და „მადამებს“) <sup>მადამებს</sup>  
ეგენი ხომ სულ კლუბში  
ათენებს და აღამებს!  
თამაშობენ ლოტოსა,  
ვითომც ფულებს იგებენ,  
(ქმრებს ისე აკოტრებენ,  
რომ ვერც კი გაიგებენ).

კლუბიდან რომ გამოვალ,  
კონკით წავალ ვაგზალში,  
(ჯიბგირებმა თუ ჯიბე  
(არ მომაქრა შვა-გზაში),  
სალამოს ათ საათზე  
გავსწევ პროვინციაში  
(ბილეთი თუ ავიდე  
ამ ოხერ სტანციაში).  
გზა და გზა ვინახულებ  
გაზეთების აგენტებს  
(ფულის წალღეტის გამეტს  
რომ არაფერს აკეთებს)

მერმედ სოფლად გადავალ —  
ჩაველ გურჯიანთაში  
(ნავთი ამოჩენილა  
ტალახიან ღარდაში!)  
გლეხებს მამულს წავართმევ  
(ვინ დამძრახავს ამაში?)  
ინჟინერს ვინახულებ,  
(თავს ჩაუდებ კალთაში!)  
მიწას დავანიჯარებ,  
ფულს ჩაკეცი ჩანთაში,  
მთაზე წავალ ზაფხულში  
და თბილისში — ზამთარში.

ძლიერ მომწონს თბილისი,  
(რა კარგი ქალაქია?!)  
ნომრებში ჩამოვტები,  
სტოლს გამიწყობს ლაქია,  
კოლს სოფელში დავტოვებ  
(იქ ვიშოვი სხვა ქალებს),  
რომელნიც რომ ჩიტივით  
ტანცაობს და ქვანქვალებს!  
სულ მათთან ვიქეფებ  
სანამდის მაქვს „ფარები“,  
(მე ქართველი ვახლავარ,  
აბა, რას მედარები?!)

თოლა-ბულთა.

# მესტვირული

(საადგომო)

ქრისტე აღსდგა! ბატონებო,  
თქვენ გენაცვალეო,  
ძველი მესტვირე აღარ ვარ,  
გამოვიცვალეო,  
ახალ რასმეს მოგიმდერებთ,  
ოღონდ მაცალეო...

ვერის მღვდელი დავინახე,  
მას გავეცალეო,  
გულზე, რომ ჯვარი ეკიდა,  
ყოვლათ მძლეთა-მძლეო!  
ვუთხარ: ღარიბს საკოცნელათ  
ხელს რათ არ აძლეო?!  
ტკბილი სიტყვით ილანძღება,  
თუმცა ფულს ვაძლეო,  
ესეც მიკვირს ამდენ ხანსა  
როგორ გაუძლეო!  
ფულებსა მთხოვს, რაღა მივცე?  
ჯიბე დავცალეო!

კონკის დირექტორთან მიველ,  
ლოცვით ვეახლეო,  
დიდი კაცია, ვიფიქრე,  
იყოს მოწყალეო!  
პანღური მკრეს, რახრახითა  
კიბე დავთვალეო,  
ესეც თქვენი მოწყალეობა!  
ვარი ვარალეო!...

ეს სიმღერა ბატონებო,  
არის ჯავახური,  
კაი რამეს მოვახსენებთ,  
ოღონდ მიგდეთ ყური...  
ზაქარია ჭიჭინაძეს,  
სიტყვები აქვს ძმური,  
მაგრამ საქმით და ქცევითა,  
არის უწმაწური!

კონკის მოსამსახურეთა,  
მე მომალხინესო,  
გროშები ბევრი მაჩუქეს,  
გვერდს დამაჯინესო.  
გულს ვერაფრით მომიგებენ,  
რაც მაწყენინესო...  
თავიანთი უფლებანი  
რაც შეიძინესო,  
ყველაფერი გადაკარგეს,  
ურცხვად იძინესო!  
ზოგნი დამაბეჭდარობენ,  
ძმა დაასმინესო!..



ნეტავი თუ რა გული აქვთ,  
 როგორ ითმინესო,  
 სიხარულით, რომ დადიან,  
 არ მოიწყინესო!..  
 ვაჰ სირცხვილო! მათმა ქცევამ  
 სევდა მიიჩინესო!  
 და უდროვით დამაბერეს,  
 გამაჩინინესო!  
 ეგონათ, რომ გავრუმდები,  
 სუფრა მიფრინესო,  
 მინდორს ცეცხლი რაღას არგებს,  
 მწვან-მობიბინესო?!

მენტვირე გიგოლა.

ცხვართა ჩივილი.

(საალღომო ესკიზი).

საგზაფხულათ ამანათა მხემ, მიუქათქათა ღელე-  
 მანდორ-ფერდობებს. ბაღასნ ცოტათ ამოუფთ თაფი და  
 მსეს ვარზე შესცინოდნენ, ეაღერსებოდნენ, ბრწყინავ-  
 დნენ მის შუქზე. აღაგ-აღაგ აასც კამოეთარეშნა და  
 ბაღასნ ნიშნის მოკებით ეუბნებოდა: „შე უფრო შენზე  
 ღამაზი ვარა!“

ერთ ფერდობზე, თეთრთ გადაფენილ ცხვარი, (შიგ  
 თხებიც კრია) ზანთრისკან დასუთულებს, ესამოფნათ მხის  
 მოთბო სხივები, იწვეს ხტუნვა და სისარული; ციკები  
 და ბატკები! ოჰ, დმერთო ჩემო! ნუ თუ ამზე უკეთე-  
 სი სანახვი იქნება სდამე?! რა ღამაზები იფენენ! რა ლუ-  
 წერელ სიამოვნებას კრძობდა მნახველი, მისი გამოთქმა  
 უოვლათ შეუძლებელია. შეჭურებდნენ დელები თავიანთ  
 შვილებს, სტკებოდნენ მათის ნახვით და ზოგჯერ თა-  
 თონაც იღებდნენ ხოლმე მონაწილეობას მათს კუნტ-  
 რეშში.

— მოიცათე უფრო დამიკვდეთ, — წამოიბღავლა ერთმა  
 ხანში შესულმა ცხვარმა. უფლებანი სმენათ გადაიქტენ: —  
 იოკვივიდა მშენიერი გაზაფხული! მერე? იცით, რომ  
 ჩვენთვის გაზაფხული, სიმწარე და უბედურებაა?!

— რათა, რათა?! — შეჭვივრეს დანახენებმა.

— ბავშვები! თქვენ უფრო პატარები ხართ, ვიდ-  
 რე თქვენი ციკან-ბატკები!.. იმტომ რომ „დადამა-  
 ნებს“ ადგამა მონდით, წამოგვისვამუნ ხელს, წავგართ-  
 მვენ ეველას ჩვენს სიყვარულ შვილებს და ვირდა-ვირ  
 სიყვანაში უკრავენ თავს. მერე? ჩვენ უნდა შორიდან  
 უყურით ჩვენი შვილების სისხლის ღვრას?! ჩვენი შვი-  
 ლების ხოცვას თვალთ ვაყურებიან, ჩვენ-კი გულ-  
 გრილათ უნდა უყურით ამ უბედურებას?! რათა? რის-  
 თვის? ნუ თუ ჩვენ-კი დელები არა ვართ?! ნუ თუ ჩვენ-  
 კი არ გვიღვივის შვილების სიყვარული გულში? რაქნათ  
 რომ ვირუტუნნი ვართ? ვიფიქროთ რაზე, ასოვდით ხმა,

გავიშაღნეთ წელში და შეერთებულის ძალით შევებრძო-  
 ლით, გაუმკლავდეთ ჩვენ დაუძინებელ და უღმობელ სი-  
 სხლის მსმელებს, „დადამანებს“... რა უნდათ ჩვენგან?  
 რაზე გვიკვიდენ უცნესლოთ ცეცხლს? თაღ-წინ შვი-  
 ლებს ეელს გვიტრიალ და ჩვენ-კი, სულელებით მოვყე-  
 ბით ხოლმე ბღვილს ნუ თუ ეს ასატანია? ნუ თუ ჩვენ  
 არ შეგვიძლიან წამალი დავლოთ ჩვენს არას?... ცხვრე-  
 ბო! გვინდა სხნა თუ არა?!

— გვინდა, გვინდა! — შებღავლეს ეველამ. სიხუმე  
 ჩამოკარდა.

— მეც მისმინეთ შეკობრებო? — წინ წამოღდა კრ-  
 თი ბოტი, ეველამ კარვით იცით, რომ მეც ვარ, მო-  
 ნაწილე თქვენის ტანჯვისა, მეც მეყვს რამდენიმე შვი-  
 ლი ძლიან კარვით ვიცნობ ჩემს შვილებს, მაგრამ აი,  
 კითხვა სდ იბადება: სდ და როგორ მოვძებნოთ სხნა?..

— როგორ თუ სდ?! წამოიძახა კაბორცებულმა  
 ცხვარმა, მიფერთით მეელს, მიფუნაჩივრით, რომ ჭერ  
 თითონ დასებოს თავი ჩვენს მტრობას, შევიდეს ჩვენს  
 მღვამარებაში, შემოგვიერთდეს თავის ამანაგებით და  
 მერე-კი ამ შეერთებულის ძალით აერბი მივიტანოთ  
 ეველამ ერთათ, იმ ხარხებზე, რომელიც ჩვენი შვილე-  
 ბის სასუიდალათ მოდიან ხოლმე!.. როგორი აზრია შე-  
 კობრებო?!

— მშენიერია ვაშა, ვაშა. მიუბღავლეს თხების  
 ბარტუქით დანახენებმა.

— ნუ ჩქარობთ, ნუ ჩქარობთ ამანაგებო, — შეჭვი-  
 რა ბოტმა, — ნათქვამია: სიჩქარით გაკეთებულს, სიწინ-  
 რით გაფუტებული სჯობია!.. დალოცვადებო! ჩემ დე-  
 ში არ გამოვიდა, რომ ვინმე სიჩივლელათ წავიდეს თავის  
 მოსისხლე მტერთან, ვის გაუტია?!

— მაგალითად, როგორ? შეგვიტოს ცხვარი.

— ისე ჩემო ბატკო, რომ მეელს, უოვლეთვის  
 ჩვენი სისხლი სწეურია, უნდა, რომ სათითათ ჩაკვირე-  
 ლოს და ტყავი გავკაძროს, დავგანჩინო, ფეს ქვეშ ც-  
 თელას, ჩვენი ძელები და გავგანადგუროს... თქვენ-კი,  
 წინადადებას გავაღებ, რომ მეელთან სიჩივლელათ მივი-  
 დეთ! გასაკვირულია შე-და-ჩემმა დმერთმა!

— მერე? უთხრა ცხვარმა, — განა გეუბნებით, რომ  
 ერთი ვინმე წავიდეთ მეთქი? არა, ორჯერ ორი, რომ  
 ოთხია, ეგ ეველამ იცის. შენს სიტყვებს აღარ განვიარ-  
 ტავ, რადგანაც მეტად: აი მე რას გიჩივით, მივიდეთ  
 სუფელანთ ერთად, შეწივლოთ მეელს ჩვენი ტირან-  
 ში, თუ გაავრ და შემოგვიერთდა, ხომ რა კარგი, თუ  
 არა და მამინ ამოდენა ცხვარს და თხებს რას დავგა-  
 ლებს? მართალია თუ არა?!

— მართალია, მართალია იცოცხლე ჩვენო დამრი-  
 კებულა! — შებღავლეს კვალთ ეველამ

— ძლიან კარგი, — დაიწყო ბოტმა — წინ ვინ უნდა  
 გავვიდევს მეელთან?!

— შე აქ გახლავართი.. წარმოსდგა რახანათ ერთი შავ-შავი, ტან-მოსული და მალე-დაცრესილ რქებიანი ვადი— შე რას გიკეთებთ? ნუ თუ არა გქვამთ ჩემი იმედი? მაშინ მოკიკვდეთ ჩემს თავს!.. ვაი სარტყელი შე თქვენს წინამძღვარს, როგორ შეცნობთ დალოცვილებო? ნუ თუ თქვენს ვაცს აღარა სცნობთ, აღარ ენდობთ? მითხარით დებო! რა მიქნია თქვენთვის სიკვლე, გარდა სიკეთის?! — ცხვრები ისე აღტაცებაში მოვიდნენ, ვაცის გრძნობიერის სიტყვებით, რომ ერთხმად შებღვაულეს: „გენდობთ, გენდობთ“.

— თქვენი გულისთვის, საკირეში გადაყუშებო, სეტყვას, სიცივეს არაფრით არ შეეუშანდებო! მართალი არის?!

— მართალი არის, მართალი!!! მთელი ღრიალის ხმას აღმოხდა ცხვრებისგან.

— საკირეში გადაყარდებო, კესმის?! წაუწერნულა ერთმა ჭრელმა ცხვარმა შეორეს, აღარ ახსოვს, რომ ერთხელ თრმობდა-ათი ცხვარი ნიაღვარს მისცა!

— როგორ? შეკითხა შეორე.

— როგორ და ისე, რომ დადი ავღარი მოვიდა, მეცხვარემ ვეღარ გაუძლო, ცუდ ადგილას იყო მოქცეული და, რადგან ზარდაღისა შექმინდა, ამიტომ ცხვარი დაგვიარეკა სოფლისკენ, ერთ ადგილას, ნიაღვარს ადგილი ჩაეღრმავებინა, ეგ ოჯახს დაქცეული ვაცი, სწორეთ იმ ადგილას არ შეერია! თვითონ ვეებერთელა მხედია, გაფონა, გავიდა, მაგრამ თრმობდა-ათი სული ეი გვინაცვალა! მეცხვარეს, რომ არ მოეგლო წინაღინ, რაც ვეიჯივით სულ ნიაღვარს წელი ეკავებოდათ!.. ახლა ეი დამდგარა: თქვენი წინამძღვარი ვიქნებო. დმერთმა დამიფაროს, რომ მაგის წინამძღვლობით წავიდე სადმი!..

აქამდის ცხვრები და თხები, ცაღგ-ცაღკე ყუანობდნენ. ბრლას ერთ ხმით გადასწყვიტეს: არა და არა! ჩვენ მგელთან სჩიფლესათ ვერ მივაღთო!..

**მ. ლელაშვილი.**

**სააღდგომო გამოხატაბი:  
თაბილისი.**

რესტორანი გაგილიათ,  
შიგ დავიღვამთ ბილიარდი,  
ვითომ კლუბსა ეჯიბრებით,  
გიყიდიად კარტი, ნარდი,

ლაქიების ზალოგითა  
ხაზინობასა ჩემობ,  
შენი მოგწონს...სხვის საქციელს  
შორით კიცხამ და ურცხვად გმობ.

ბლომათა გაქ საქმელები:  
ევროპული, აზიური,  
ძველი ხარჩო, ძველი სუფი,  
ძველი ქონი, ხმელი პური.

ლოში, ზუთხი ორი კვირის  
მოხარული, ისიც ცივი  
და ვითომდა იმერული—  
დამხრჩვალი ბატის სიცივი.

ამიტომაც მე აღდგომას  
მოგილოცავ სიხარულით  
ღმერთს თქვენ თავსა შევავედრებ  
და თან გირჩევ წრფელის გულით,

რომ თქვენ თქვენი საქცილით  
არ დაიგოთ თქვენთვის მახე:  
(ქონი იქით გადაავდე  
და კარაქი შეინახე).

გაუფრთხილდი ძველსა ქონსა  
არ ასტიციდეს მუშტარს თავი.  
თორემ მაშინ გაიგებთ, რომ  
ქონი არის საწამლაგი.

უნდა დროზე შეეცადოთ  
საქმე მოაწესდა რიგო,  
რომ ბოლო დროს არ ინანო...  
ამას გირჩევს შენი

გიგო.

**ა ბ ა ნ ა.**

**1.**

აღდგომასა მიულოცავ  
ყმაწვიოს ფშუქსა, აჩკებიანს,  
„პროფიზორსა“, „დონ კიხიტსა“,  
ამპარტავანს და ავ-ზინანს;

და თან ურჩევ ნუ ჩხირ კედლობს,  
დაეჩოს თავის ტყავში,  
თორემ მისი გასროლილი  
მას მოხვდება ისევ თავში;

აფთიაქს ნუ მიატოვებს  
ნუ გაწყურის ურდულოს კარში,  
თორემ ქინქარისა წვირი  
ჩაესობა ბლომათ კანში.

**2.**

მეორეს, ლაყ კვერცხს ულოცავ,  
არა ნაკლები გმირია,  
„ფედერალისტობს“, „ქართველობს“  
ვით „სილოვანის ვირია“.

თვით ქანი\*) არის, ჰან-ითაც  
იწყება იმის გვარია,  
ხან ტურიშვილი, ხან მელა,  
სოფელი არივ-დარიი!  
მამლაყინწაობს, კინკლაობს,  
ვით მამლაყინწა, ვარია!..

აგეწვათ?

\*) ჭანი ეი მოზვერი არის,  
დაუკოდავი სარია.